

მინიმალური ხარჯის შედარებითი ანალიზი საქართველოს ზოგიერთ მდინარეზე

თამუნა ჩიტაძე

ელ-ფოსტა: Tamuna.chitadze662@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის წყალს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ის თანაბრად აუცილებელია, როგორც ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ასევე მისი სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად. წყლის რესურსების პოტენციალის გამოყენება კი აუცილებლად უნდა მოიაზრებდეს ეკოლოგიური მოთხოვნების შეძლებისდაგვარად სრულად დაკმაყოფილებას.

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილია მინიმალური ხარჯის შედარებითი ანალიზი საქართველოს ზოგიერთ მდინარეზე. მინიმალურ ჩამონადენს დიდი პრაქტიკული დანიშნულება აქვს სამრეწველო და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგების დაპროექტებაში, მდინარეების წყლის მინიმალური ხარჯების დასადგენად გამოიყენება ზამთრის და ზაფხულ-შემოდგომის სეზონების ჩამონადენის დაკვირვების მონაცემები. შერჩეულია მდინარეთა ის სადგურები რომლებზეც გრძელი დაკვირვებული მონაცემების რიგია. კერძოდ: მდინარე ალაზანი (ჰ/ს შაქრიანი), მდინარე მტკვარი (ჰ/ს ხერთვისი), მდინარე ფარავანი (ჰ/ს ხერთვისი), მდინარე სუფსა (ჰ/ს ჩოხატაური), მდინარე ტეხური (ჰ/ს ნოქალაქევი), მდინარე რიონი (ჰ/ს ალპანა), მდინარე გუჯარეთისწყალი (ჰ/ს წაღვერი), მდინარე ძირულა (ჰ/ს წევა), მდინარე ხობისწყალი (ჰ/ს ლეგახარე), მდინარე ბახვისწყალი (ჰ/ს ქვედა ბახვი).

მინიმალური ხარჯების ფაქტობრივი დაკვირვების მონაცემების მრავალწლიური რიგის დამუშავების შედეგად საკვლევ მდინარეებზე გამოიყო სხვადასხვა მინიმალური ხარჯი, კერძოდ:

- 30-დღიანი მინიმალური ხარჯი (არაკალენდარული წელი);
- მყისიერი მინიმალური ხარჯი;
- ყოველდღიური საშუალო მონაცემიდან აღებული მინიმალური ხარჯი.

საქართველოში დღესდღეობით ეკოლოგიური მიზნით გადინებული წყლის ხარჯების ნორმატიული სიდიდეების განმსაზღვრელი საკანონმდებლო ბაზა და შესაბამისი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია არ არსებობს, რაც რასაკვირველია წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების თვალსაზრისით არაერთი პრობლემის გამომწვევი მიზეზია. აქედან გამომდინარე გასათვალისწინებელია მინიმალურ და გარემოსდაცვით ხარჯს შორის არსებული რთული ურთიერთდამოკიდებულება.